სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება #4

ბათუმი 20 დეკემბერი 2013

## სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის დანიშვნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის $35^7$ მუხლის პირველი პუნქტისა და $35^{10}$ მუხლის თანახმად,

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს სოსო სტურუა (პირადი # 61002008062, დაბ. 21.03.1971, მცხოვრები ქ.ბათუმი, ი.კობალაძის ქ.#9, ბინა 12, პროფესიით ჟურნალისტი).
2. სოსო სტურუას, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის უფლებამოსილება იწყება დანიშვნის მომენტიდან.
3. სოსო სტურუა ვალდებულია უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან შეწყვიტოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის სტატუსთან შეუთავსებელი სამსახური/საქმიანობა და და 7 დღის ვადაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წარუდგინოს შეუთავსებელი სამსახურის/საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი საბუთი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაზა ხალვაში

# სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს სხდომის

## ოქმი №02

ქ.ბათუმი 20 დეკემბერი 2013წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - **ზაზა ხალვაში**, წევრები - **რუსუდან იმედაიშვილი, გიორგი ირემაძე,**

**არასამთავრობო** სექტორის წარმომადგენლები და **ჟურნალისტები**.

სხდომა გახსნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ – **ზაზა ხალვაშმა.** სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო

**დღის წესრიგის ერთადერთი საკითხი:**

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დირექტორის დანიშვნა.**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, **ფარული კენჭისყრის** შედეგად გამოევლინათ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დირექტორი.

დასახელდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დირექტორობის 6 კანდიდატი: **თამილა დოლიძე, თინათინ ცისკარაძე, სოსო სტურუა, სულხან მელაძე, მირანდა ჩარკვიანი, ირაკლი თავართქილაძე.**

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს დაურიგდათ საარჩევნო ბიულეტენები.

გაიმართა ფარული **კენჭისყრის პროცედურა.**

ხმების დათვლის შედეგად დირექტორობის კანდიდატმა -
**სოსო სტურუამ** მიიღო 2 ხმა,
ხოლო **თინათინ ცისკარაძემ** – 1 ხმა.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დირექტორად დაინიშნა **სოსო სტურუა.**

მრჩეველთა საბჭომ დამსწრეთ გააცნო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომის თარიღი – 25 დეკემბერი, 14 სთ. დღის წესრიგი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დროებითი დებულების მიღება.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

*თავმჯდომარე:* *ზაზა ხალვაში*